
საგანი – მათემატიკა

საკითხი – მარტივი სქემები სიბრტყეზე

- მარჯვნივ, მარცხნივ, შუაში
- წინ, უკან
- დაწყვილება
- შიგნით და გარეთ
- რამდენიმე არე, არეების საზღვარი

სტანდარტის შედეგები: მათ.დაწყ.(I).7; 13

ვირტუალური ფერმა



დავალების პირობა

როგორ არის შესაძლებელი, რომ ბებიამ და ბაბუამ დაიცვას შინაური ცხოველები მგლის ან სხვა გარეული მტაცებელი ცხოველებისაგან? იმისათვის, რომ ამ კითხვას უპასუხო უნდა შეასრულო კომპლექსური დავალება „ვირტუალური ფერმა“. პირობის თანახმად, შენ უნდა შექმნა რეალური სამყარო მოდელი და მოახდინო დავალებაში არსებული მონაცემების ორგანიზება და წარმოდგენა. აღწერო ობიექტების შედარებითი პოზიცია შემდეგი ტერმინების გამოყენებით: მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, გვერდით, უკან. შიგა არე, გარე არე, საზღვარი.

დავალება შეასრულე სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის ,,ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით. ასევე შეგიძლია მოამზადო მაკეტი საძერწის ან სხვა მასალის გამოყენებით.

გაიხსენე რომელიმე მსგავსი ზღაპარი/მულტფილმი, მოიყვანე მაგალითი და იქ განვითარებული სიუჟეტის მიხედვით შექმენი ილუსტრაცია შენთვის მოსახერხებელი ფორმით.

პრეზენტაციისას წარმოაჩინე:

- რა წესით/პრინციპით განალაგე ობიექტები სიბრტყეზე?
- როგორ გვეხმარება ობიექტების განლაგების ცოდნა გადაადგილებაში?
- როგორ დაგეხმარა შიდა და გარე არეების, ასევე არეების საზღვრის შესახებ ცოდნა მუშაობის დროს მაკეტის შექმნისას?
- რა თემაზე შეადგინე ახალი დავალება და რისი გათვალისწინება მოგიწია მასზე მუშაობის დროს?

ინტეგრირება ტექნოლოგიებთან:

- დავალება შეგიძლიათ წარმოადგინეთ ციფრული რესურსი „ვსწავლობ თამაშის“ მეშვეობით, მოცემულ ბმულზე გაეცანით როგორ არის შესაძლებელი შექმნათ დავალება ტექნოლოგიებით: ვსწავლობ თამაშით

რესურსები:

მოცემულ ბმულზე იხილეთ მოსწავლის ბარათი, რჩევებითა და ინსტრუქციებით

ვიდეოები რომელიც დაგეხმარებათ დავალების შესრულებაში:
ტელესკოლის გაკვეთილი